

პრიზები:

Discover Georgia...

ტურისტული კომპანია Discover Georgia აგრძელებს ჩვენთან თანამშრომლობას და ტრადიციულად კონფერენციის გამარჯვებულს სრულიად უსასყიდლოდ სთავაზობს პრაქტიკა/სტაჟირებას.

კომპანია მეტრო თრეველი კონფერენციის საუკეთესო მონაწილეს პრიზის სახით სთავაზობს დასაქმებას საკუთარ კომპანიაში გამოსაცდელი ვადით.



ჯომარდობის კლუბი „რაფტ ინ ჯორჯია“ კონფერენციის ფინალური ეტაპის 10 მონაწილეს პრიზის სახით სთავაზობს უფასო ტრანსფერსა და ჯომარდობის 15 კილომეტრიან მარშრუტს ფასანაურის საჯომარდო ბანაკში.

ტურისტული კომპანია Forty travels კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს გადასცემს შაბათ-კვირის ტურს სიღნაღში ორი ადამიანისათვის.



პრიზი დააწესა Milky Way Travel-მა. კომპანია პრიზის სახით გთავაზობთ ერთ თვიან სტაჟირებას შიდა ტურების მიმართულებით და ასევე ერთ თვიან აბონემენტს ოთხი გარანტირებული ტურით.



ტურისტულმა კომპანია Mimino Travel Georgia-მ კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილისათვის პრიზის სახით დააწესა სმარტფონი SAMSUNG J105H.

სასტუმრო Alliance კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს სთავაზობს ერთთვიანი პრაქტიკული კურსის გავლას სასტუმროში.



სასტუმრო Tskaltubo Plaza კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს საჩუქრად გადასცემს სასტუმროს მომსახურების ვაუჩერს ორი ღამით ორი ადამიანისთვის.

კომპანია Eurolex Travel-ი კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს სთავაზობს სტაჟირებას კომპანიაში დასაქმების პერსპექტივით.



სასტუმრო „სავანეთი“, რომელიც თელავში მდებარეობს კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს პრიზის სახით უფასოდ სთავაზობს სტადნარტულ ორადგილიან ნომერს ერთი ღამით.

კომპანია Resistor Geo პირველ ადგილზე გასულ მონაწილეს საჩუქრად გადასცემს Aerosmith-ის კონცერტზე დასასწრებ ორ ბილეთს, რომელიც 20 მაისს ბლექ სი არენაზე გაიმართება.





პრიზი დააწესა Georgia Palace Hotel & SPA-მ. ქობულეთში მდებარე სასტუმრო პრიზის სახით გთავაზობთ ვაუჩერს ორი ღამისთვის ორადგილიან ნომერში ორჯერადი კვებით, საჩუქრის გამოყენების ვადა - 15 ივნისამდე.

კომპანია „ჯეო სტუმარი“ მიმდინარე წლის 26 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით ატარებს საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს, რომლის ფარგლებშიც, კონფერენციის ორ მონაწილეს სთავაზობს ფესტივალის ორგანიზებაში მონაწილეობის მიღებას (სტაჟირებას).



ტურისტული კომპანია „ლივინგ რუტს“ კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს დასაჩუქრებს 2 საათიანი საცხენოსნო ტურით ორი ადამიანისათვის „ლივინგ რუტს“-ის რანჩოდან სიღნაღის შემოგარენში.

კომპანია Just Trip კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს საჩუქრად გადასცემს ბორჯომში, სასტუმრო რიქსოსის 2 დღიან ვაუჩერს 2 ადამიანისათვის. გამოყენების თარიღი: 12-13 მაისი ან 13-14 მაისი.



ტურისტული პორტალი Turebi.ge საკუთარ რჩეულს გადასცემს სპეციალურ პრიზს, ბეთ ჰარტის კონცერტზე დასასწრებ ორ ბილეთს, რომელიც თბილისის იპოდრომის პარკში გაიმართება. თითოეულ მონაწილეს სთავაზობს განათავსოს თავიანთი ნაშრომი ბლოგზე.



კომპანია Georgian Capital-მა კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილისათვის პრიზის სახით დააწესა ორ კაციანი საგზური ბაქოში მისის თვეში.

სასტუმრო Divan Suits Batumi კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს საჩუქრად გადასცემს შაბათ-კვირის სასტუმრო დივან სუითში გატარების შესაძლებლობას 2 ადამიანისათვის. გარდა ამისა ერთ-ერთ მონაწილეს სთავაზობს ორ თვიან სტაჟირების პროგრამას.



საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია სთავაზობს კონფერენციის მონაწილეებს შანსს სტაჟირება გაიარონ მსოფლიო ბანკის მიერ ინიცირებულ პროექტში, რომელიც გულისხმობს კახეთის რეგიონში E-tourism-ის განვითარებას. მისი განხორციელება იგეგმება მაისი-ივნისის პერიოდში და სტუდენტებისთვის ეს იქნება არა მხოლოდ სტაჟირება, არამედ სამუშაო გამოცდილებაც.

კომპანია Localhost LTD კონფერენციის ხუთ ფავორიტ მონაწილეს წაიყვანს ორ დღიან ტურში დასავლეთ საქართველოში. ტურის ფარგლებში მოინახულებენ: მარტვილის კანიონს, ოკაცეს კანიონს, ჩანჩქერებს სოფელ კინჩხაში, პრომეთეს მღვიმეს. ტურის ჩატარების დრო: ივნისი 2017

გარდა ამისა, კონფერენციის ორ მონაწილეს კომპანია სთავაზობს ორ თვიან სტაჟირების პროგრამას დასაქმების პერსპექტივით. სტაჟირების პერიოდი ივნისი-ივლისი 2017.



კომპანია ლაზიკა თრეველ კონფერენციის სამ საპრიზო ადგილზე გასულ მონაწილეს გადასცემს VIP ერთდღიან ტურს საქართველოს ტერიტორიაზე, გიდის, ტრანსპორტის და კვების მომსახურებით.



სასტუმრომ „მერკური თბილისი ძველი ქალაქი“ პრიზის სახით დააწესა ერთი „ფიტნესისა და სპა“-ს ორ კაციანი და ორი ყოველკვირეული ბრანჩის ორ კაციანი ვაუჩერი.

Georgian Tour Agency კონფერენციის ოცივე ფინალისტს საჩუქრად გადასცემს Tourist Panda-ს. ეს არის ფასდაკლების ბარათი, რომელიც ტურიზმის წახალისების მიზნით შეიქმნა და რომლის მეშვეობითაც მის მფლობელს საშუალება აქვს მიიღოს 25% მდე ფასდაკლება 25-მდე ობიექტში თბილისში: კვების, გართობის, შოპინგის და დასვენების სფეროდან.



კომპანია ლინატა პირველ ადგილზე გასულ მონაწილეს დაასაჩუქრებს კომპანიის კულინარული ტურის კომპლექტით, მეორე ადგილზე გასულ მონაწილეს ქალაქ თბილისის "ღვინის კვესტის" ბილეთით, ხოლო მესამე ადგილზე გასულ მონაწილეს შამპანიურით. გარდა ამისა, სამივე გამარჯვებულს გადასცემს ხუთ ვაუჩერს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია 22 ივლისს ფოთში ფაზისობის დღესასწაულზე, რომელიც ახალი ფორმატით - კვესტის სახით გაიმართება. ტერიტორია მოიცავს დაცულ ტერიტორიას და ფოთს.

ტურისტული სააგენტო „საბა“ კონფერენციის გამარჯვებულს სთავაზობს ერთ დღიან უფასო ტურს: ელიზაბეტალი - გერმანული კულტურა და მემკვიდრეობა.



კომპანია ტურიზმი და რეალობა გამარჯვებულს აძლევს შანსს გაიაროს ინგლისურენოვანი (E tourism) სამ დღიანი უფასო ტრენინგი. ტრენინგის ბოლოს გადაეცემა სერტიფიკატი.



სასტუმრო ალაზნის ველი თელავში, კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს საჩუქრად გადასცემს ორადგილიან ნომერს საუზმით ერთი ღამით.

მზოგავი ტურიზმის განვითარების ცენტრი საკუთარ რჩეულს გადასცემს ფულად პრიზს - სამას ლარს. კომპანია ფავორიტს შეარჩევს შემდეგი ორი სტრატეგიული მიზნის შესახებ წარმოდგენილი ნაშრომებიდან: ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის რესურსების გამოყენებით ტურიზმში უნიკალური ავთენტური გამოცდილების შექმნა და საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, დაცვა და წარმოჩენა.



გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს წიგნის მაღაზია ბიბლუსის 150 ლარიანი ვაუჩერით.

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევითი ინსტიტუტი (ISET) კონფერენციაზე პირველ ადგილზე გასულ მონაწილეს სთავაზობს უფასოდ გაიაროს მის მიერ არჩეული ერთი ნებისმიერი კურსი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამებიდან. კურსის ბოლოს გადაეცემა სერტიფიკატი.

ISET MA Program in Economics
Policy Institute

International School of Economics at Tbilisi State University



სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი კონფერენციის ორ მონაწილეს გადასცემს უნივერსიტეტის ფიტნესის ცენტრის ერთთვიან უფასო აბონიმენტს.